შპს მეიდანზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს მეიდანზე
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 4

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ 4
2. მომზადების საფუძველი 4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 8
5. მიღებული დივიდენდი 9
6. წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება 9
7. ამონაგები მომსახურების გაწევიდან 9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 10
9. ძირითადი საშუალებები 10
10. საინვესტიციო ქონება 11
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 11
12. ფული და ფულის ექვივალენტები 11
13. მიღებული სესხები 12
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 12
15. ბალანსის შემდგომი მოვლენები 12

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
მიღებული დივიდენდი	5	7,561,176	1,290,435
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	6	-	5,750
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	7	363,761	343,129
		7,924,937	**1,639,314**
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი		(27,878)	(28,256)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(133,002)	(14,108)
კომერციული ხარჯები		(10,170)	(10,169)
საოპერაციო მოგება		**7,753,887**	**1,586,781**
საპროცენტო შემოსავალი		24,857	5,572
საპროცენტო ხარჯი		(15,875)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		30,363	(53,397)
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		161,120	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		**7,954,352**	**1,538,956**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		**7,954,352**	**1,538,956**
წლის სრული მოგება მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		7,877,829	1,463,020
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე		76,523	75,936
		7,954,352	**1,538,956**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

მიხეილ ბეგიაშვილი
დირექტორი

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
მიღებული დივიდენდი	5	7,561,176	1,290,435
წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	6	-	5,750
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	7	363,761	343,129
		7,924,937	**1,639,314**
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი		(27,878)	(28,256)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(133,002)	(14,108)
კომერციული ხარჯები		(10,170)	(10,169)
საოპერაციო მოგება		**7,753,887**	**1,586,781**
საპროცენტო შემოსავალი		24,857	5,572
საპროცენტო ხარჯი		(15,875)	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		30,363	(53,397)
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		161,120	-
მოგება/(ზარალი) გადასახადების გადახდამდე		**7,954,352**	**1,538,956**
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული მოგება		**7,954,352**	**1,538,956**
წლის სრული მოგება მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		7,877,829	1,463,020
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე		76,523	75,936
		7,954,352	**1,538,956**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

_____

მიხეილ ბეგიაშვილი
დირექტორი

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018 (არააუდიტირებული)	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	2,715,552	241,057	78,805
მოთხოვნები დამფუძნებლის მიმართ		13,102	12,238	-
საინვესტიციო ქონება	10	400,043	332,047	349,524
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		7,784,967	7,411,955	5,844,539
სხვა ინვესტიციები		719,393	-	-
გაცემული სესხი		9,125,809	4,228,022	-
არამატერიალური აქტივები		9,169	9,170	9,549
სულ გრძელვადიანი აქტივები		**20,768,035**	**12,234,489**	**6,282,417**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		401	401	401
საგადასახადო აქტივი		53,479	46,411	44,802
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,323,621	1,768,101	3,188,134
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,573,146	656,325	2,186
სულ მიმდინარე აქტივები		**2,950,647**	**2,471,238**	**3,235,523**
სულ აქტივები		**23,718,682**	**14,705,727**	**9,517,940**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,196,057	2,796,897	738,897
გაუნაწილებელი მოგება		8,431,432	2,927,763	1,464,743
სულ კომპანიის მფლობელზე მიკუთვნებული კაპიტალი		**13,627,489**	**5,724,660**	**2,203,640**
არამაკორექტირებელი წილი		(47,291)	(7,564)	-
სულ კაპიტალი		**13,580,198**	**5,717,096**	**2,203,640**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	2,060,061	1,266,065	-
სულ გძელვადიანი ვალდებულებები		**2,060,061**	**1,266,065**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	13	114,124	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	14	7,962,676	7,722,566	7,314,300
საგადასახადო ვალდებულება		1,623	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,078,423**	**7,722,566**	**7,314,300**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**23,718,682**	**14,705,727**	**9,517,940**

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	კომპანიის მფლობელზე მიკუთვნებული გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	ჯამი
1 იანვარი, 2018	**738,897**	**1,464,743**	**-**	**2,203,640**
წმინდა მოგება	-	1,463,020	75,936	**1,538,956**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	(83,500)	**(83,500)**
კაპიტალის სხვა ცვლილებები	2,058,000	-	-	**2,058,000**
31 დეკემბერი, 2018	**2,796,897**	**2,927,763**	**(7,564)**	**5,717,096**
წმინდა მოგება	-	7,877,829	76,523	**7,954,352**
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	(116,250)	**(116,250)**
კაპიტალის სხვა ცვლილება	25,000	-	-	**25,000**
31 დეკემბერი, 2019	**2,821,897**	**10,805,592**	**(47,291)**	**13,580,198**

4-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

მეიდანზე (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2017 წლის ივლისში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404541484.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ზაზა ნიშნიანიძე.

შპს მეიდანზე თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს (შემდგომში ჯგუფი) :

კომპანიის დასახელება	ინვესტიციის სახე	წილი%
შპს გასართობი ცენტრი მეიდანი	შვილობილი	75%
შპს ბამბის რიგი	შვილობილი	75%
შპს "მეიდან ივენთს"	ასოცირებული საწარმო	49%
შპს "მეიდანის რიგი"	ასოცირებული საწარმო	43.55%
შპს ბიზნეს ცენტრი მოზაიკა	ასოცირებული საწარმო	43.55%
შპს მეიდან პარკინგი	ასოცირებული საწარმო	43.5%
შპს მეიდან ტური	ასოცირებული საწარმო	43.5%
შპს რივერ ტური	ასოცირებული საწარმო	33.34%
შპს "ძველი მეიდანი"	ასოცირებული საწარმო	33.15%
შპს ოპერა პლაზა	ასოცირებული საწარმო	25%
შპს შარდენის 9ა	ასოცირებული საწარმო	32.25%
შპს კალა 2005	ასოცირებული საწარმო	20%

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის (შპს „გასართობი ცენტრი მეიდანი“ და შპს „ბამბის რიგი“) კონსოლიდირებულ მონაცემებს.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფმა გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.
აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე გაითვალისწინება კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
საინვესტიციო ქონება.

აღიარება და შეფასება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან. საინესტიციო ქონება შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიცია. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა ჯგუფისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
  სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. მიღებული დივიდენდი

	2019	2018
შპს "მეიდანის რიგი"	289,389	199,768
შპს "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა"	790,433	370,201
შპს "ოპერა პლაზა"	237,500	-
შპს "შარდენის 9ა"	19,500	-
შპს "ძველი მეიდანი"	172,939	191,380
შპს "მეიდან ივენთსი"	4,900	12,136
შპს "მეიდან ჯგუფი"	1,548,260	-
შპს "მეიდან ტური"	117,030	75,155
შპს "მეიდან პარკინგი"	19,590	3,045
შპს "კალა 2005"	4,361,635	438,750
სულ მიღებული დივიდენდი	**7,561,176**	**1,290,435**

6. წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება

წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება წარმოადგენს 2018 წელს შპს "მეიდანის რიგი"-ს წილის რეალიზაცის შედეგს.

7. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

ამონაგები მომსახურების გაწევიდან წარმოადგენს შპს "გასართობი ცენტრი მეიდანი"-ს შემოსავალს საიჯარო მომსახურების გაწევიდან.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ქველმოქმედების ხარჯი	35,654	-
საკონსულტაციო ხარჯი	26,926	-
ცვეთა და ამორტიზაცია	37,084	5,954
შრომის ანაზღაურება	10,891	-
ბანკის საკომისიო	7,786	2,017
დაზღვევა	3,961	2,366
რემონტი	2,796	2,670
საგადასახადო ხარჯი	2,340	863
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	5,564	238
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**133,002**	**14,108**

9. ძირითადი საშუალებები

	შენობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 ინავარი, 2018	**-**	**-**	**505,479**	**505,479**
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	178,607	-	178,607
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	**-**	**178,607**	**505,479**	**684,086**
შემოსვლა წლის განმავლობაში	2,374,160	145,480	2,340	**2,521,980**
გასვლა		-	-	-
31 დეკემბერი, 2019	**2,374,160**	**324,087**	**507,819**	**3,206,066**
დაგროვილი ცვეთა				
1 ინავარი, 2018	**-**	**-**	**(426,674)**	**(426,674)**
წლის დარიცხული ცვეთა	-	(5,954)	(10,401)	**(16,355)**
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	**-**	**(5,954)**	**(437,075)**	**(443,029)**
წლის დარიცხული ცვეთა	(11,871)	(25,134)	(10,480)	**(47,485)**
გასვლები	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	**(11,871)**	**(31,088)**	**(447,555)**	**(490,514)**
ნარჩენი ღირებულება				
1 იანვარი, 2018	**-**	**-**	**78,805**	**78,805**
31 დეკემბერი, 2018	**-**	**172,653**	**68,404**	**241,057**
31 დეკემბერი, 2019	**2,362,289**	**292,999**	**60,264**	**2,715,552**

10. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობა	ჯამი
ისტორიული ღირებულებები			
1 იანვარი2018	**-**	**532,382**	**532,382**
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	**-**
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	**-**
31 დეკემბერი 2018	**-**	**532,382**	**532,382**
შემოსვლა წლის განმავლობაში	85,472	-	85,472
გასვლა წლის განმავლობაში	**-**	**-**	-
31 დეკემბერი 2019	**85,472**	**532,382**	**617,854**
ცვეთა			
1 იანვარი 2018	**-**	**(182,858)**	**(182,858)**
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(17,477)	(17,477)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	**-**	**(200,335)**	**(200,335)**
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(17,476)	**(17,476)**
გასვლა	**-**	**-**	
31 დეკემბერი 2019	**-**	**(217,811)**	**(217,811)**
1 იანვარი 2018	**-**	**349,524**	**349,524**
31 დეკემბერი 2018	**-**	**332,047**	**332,047**
31 დეკემბერი 2019	**85,472**	**314,571**	**400,043**

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**	**1 იანვარი 2018**
სავაჭრო მოთხოვნები	423,244	404,238	409,373
წილის რეალიზაციიდან წარმოშობილი მოთხოვნები	632,148	1,358,819	2,775,147
მისაღები პროცენტები	1,569	-	-
მოკლევადიანი ავანსები	14,206	4,796	3,372
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	252,454	248	242
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,323,621**	**1,768,101**	**3,188,134**

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**	**1 იანვარი 2018**
ფული სალაროში	1,345	216,306	1,343
ფული ბანკში	1,571,801	440,019	843
სულ ფულის და ფულის ექვივალენტები	**1,573,146**	**656,325**	**2,186**

13. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	დოლარი	7%	-	1,039,840	-
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ევრო	7%	-	226,225	-
ფინანსური ინსტიტუტისგან ნასესხები სახსრები	ევრო	6%	2,060,061	-	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	ევრო	6%	114,124	-	-
სულ მიღებული სესხი			**2,174,185**	**1,266,065**	**-**

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს ჯგუფის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტში მომავალი ეფექტების წინასწარ დადგენა შეუძლებელია. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას, შესაძლო ეფექტების შესამსუბუქებლად.